საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა

·14· 02 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 133/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 7 თებერვლის N 769961/03,885708/03,991689/03 განცხადებით კომპანიის „AKDEMİR MAKİNA PAZARLAMA SANAYİ VE DIŞ TİCARET LİMİTED ŞİRKETİ" (მის: Yeşilbayir Mahallesi Şimşir Sokak, No:5 Hadimköy, Büyükçekmece, İstanbul, TR) წარმომადგენელმა თამილა გორნაკაშვილმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „RTRMAX" (რეგ. N 991689) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „RTRMAX" (რეგ. N 991689) საქართველოში რეგისტრირებულია 25.09.2008 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 25.09.2018 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-3, მე-6, მე-7 და მე-8 კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „RTRMAX" (რეგ. N 991689) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 158, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 14.02.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანიის „AKDEMİR MAKİNA PAZARLAMA SANAYİ VE DIŞ TİCARET LİMİTED ŞİRKETİ" წარმომადგენელს თამილა გორნაკაშვილს (მის: ქ. თბილისი, ქინძმარაულის შესახვ., კორპ. 4, ბ. N46).

ასლი დედანთან სწორია
14 " 02 2013 წ.
სამდივანი